საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "11" 11 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1576/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 11 ოქტომბრის N 74319/03 განაცხადით შპს „ვიტაბიოტიკსის" (მის: N1 აფსლი ვეი, ლონდონი NW2 7HF ინგლისი) წარმომადგენელმა დავით ჩიტაიამ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „VITABIOTICS" + გამოსახულება (რეგ. N 24248) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „VITABIOTICS" + გამოსახულება (რეგ. N 24248) საქპატენტში რეგისტრირებულია 11.11.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 11.11.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „VITABIOTICS" (რეგ. N 24248) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 427), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 11.11.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი"

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

VITABIOTICS

რეგისტრაციის N 24248

მფლობელი: შპს ვიტაბიოტიკსი

მისამართი: N1 აფსლი ვეი, ლონდონი NW2 7HF ინგლისი, გაერთიანებული სამეფო

კლასი:

5 - ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები, ბავშვთა კვება; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბჟენი და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები.